ეშეფერის მანგა

იუმორისტული ჟურნალი № 3

16 იანვარი 1911 წ. ფასი 10 კაპ.

ერთგულ კვირეული გამოცემა

1173

სამსონ ძლიერი ძველათ და ახლა.



ჭაბუკი ნორჩი
და ლმობიერი,
ჭაბუკი ტურფა,
სამსონ ძლიერი,
ლომს, ნადირთ მეფეს,
განუპობს ხახას
და ძლიერებას
მით გამოსახავს.

დღეს გადაბრუნდა
საწუთროება,
გადასახვაფერდა
ხალხი, დროება!

დღეს მოქალაქე
ქალაქის ჩვენის,
(დემოსფენობა
ვისაც შეშვენის),
ვინაც განაგებს
მის ბჭეს და ზღუდეს
(აწ საიმედო
ხოლერის ბუდეს)
ვინაც ცნობილ არს
ვით დაუღლელი
ქალაქის ბჭეთა
დარაჯი, მცველი,
იგი დღეს ვირთხას
განუპობს ხახას
და ძლიერებას
მით გამოსახავს.

ბებერი მგელი

გადახუცდა ერთი მგელი
მოძრაობა აღარ ქონდა
და არაქათ გამოლეულს
მეფე ლომი მოაგონდა.
ძალ მიხდილმა დაიბარა
ლომის ელჩი, კუდა-მელა
და რაც ქონდა გასაჭირი,
მოახსენა იმას ყველა
უთხრა: „ჟამმა სიბერისამ
მომჭრა წელი, მუხლი, გავა,
კუდის რიკი მომიგრიხა,
ხერხემალი გამიკავა.
წარმეკვეთა, აღარა მაქვს
ძველებური ძალი, ღონე,
ვატყობ ვკვდები და ამ ბოლოს,
ერთ რამეს გთხოვ, გამიგონე.
მიმეგზავნე, ბატონ ლომთან,
მიშვამდგომლე, მიგდოს ყური,
მოიგონოს ჩემი მაზედ
ნაერთგული, ნამსახური.
შეკადრე რომ თუმც მოვხუცდი
და ძალღონე დამიკნინდა,
მარა სანამ არ მომკვდარვარ,
ეგ ოხერი ჭამა მინდა.
და ჯერ, სანამ, არ გავმხდარვარ
ჯალამბერზე გასაკრავად
თითო ვალი, სამოწყალოთ,
მიგდოს დღეში გასახრავად“.
დატრიალდა ჩვენი მელა,
მოიქარგა ტკბილათ ენა
და ლომს მგელის სათხოვარი
ერთი ორად მოახსენა.
ბრძანა ლომმა: „რახანია
მეც ვფიქრობდი მაგასაო,
მგელს პატივი ეკადრება
ნაშრომს, ნაამაგარსაო.
ნამსახურის დაფასება,
საზოგადო წესიაო,
თქმა არ უნდა იმას ჩემგან
ეკადრება პენსიაო.
მით უმეტეს, რომ სხვა მგლებზე
იგი უკეთესიაო
თანაც, მათთან შედარებით,
დათ უხუცესიაო.
მიტომ ვბრძანებ: ძვალის ნაცვლად
ხორცი ჭამოს ყოველ დღესო,
რომ კბილები არ მოერყას
და სტომაქსაც წაადგესო.
ნებას ვაძლევ ინადიროს,
(რათქმა უნდა ზომაზეო)
მას განძრევაც მოუხდება,
სცადოს გადახტომაზეო.
და რამდენსაც იგი ნადირს
დაიჭირავს, ან დახოცსო
მომიტანს, მე მომაბარებს
და აქედან ვაძლევ ხორცსო.
ვიმეორებ, ხორცი ჭამოს
ძვლებს ერიდოს მავნებელსო!!!
გასწი მელავ, რაღას უცდი
და ახარე აგი მგელსო!
გამობრუნდა მელა კუდა
ხელად მგლის წინ დაიბადა,
მარა, თქვენს მტერს რომ, სიკოცხლის,
შეუმოკლდა იმ მგელს ვადა:
როცა მელამ მგელს იმ ლომის
ნაბრძანები უთხრა სრული
მგელმა ერთი დაამთქნარა
და მყის განუტევა სული.
მოკვდა მგელი, თავის რჯულზე
მან იკითხოს მისი თავი,
მე სხვა მქონდა, მხოლოდ, თქვენთან
ერთი რამე საკითხავი:
ეს ხომ კარგი პენსია,
როცა გცივა, ან ვთქვათ, გშია!?
(მგელი სიტყვამ მოიტანა,
თორემ იგი იგა რაშვაშია).
ერთი ჩვენშიც გავიგონე
აგერ ახლა, მოკლე ხანად,
„მოგცემ შენით ნაშოვარსო“
რომ თქვეს ენის მოსაფხანად.

ა. ბლიკვაძე.

ზმა-გამოცანა.

ფართე მინდორი ცარიელია,
კარგი გონია ვინც მთესველია.

ნაძვისა ძირად...

ნაძვისა ძირად
სამარის პირად
ნაზი ია სდგას, ფირუზის თვალა,
და მის საფერხელს,
ცივსა, ბნელს ქვესკნელს
მარხია ის, ვინც მე გამაწვალა:
გულის ყვავილი,
ჯერ სულ ყმაწვილი,
უდროოთ მიწას მივაბარევი;
მე მას დავტირი
და ცრემლი ხშირი
დამდის თვალთაგან, ნაღველ-ნარევი...
რათ მინდა ია,
თუმც ლამაზია,
სატრფოს ნაცვლობას ხომ ვერ გამიწევს!
ის, ჩემი „ია“
იქ საფლავშია...
მე კვლავ ის მიყვარს, თუმც იქ მკვდარი წევს...

—

ცელქმა ნიავმა,
ლაღათ მფრინავმა
იის გულმკერდზე გადისრიალა;
და რომ იამა,
ნაზმა იამა,
თვალთაგან ცრემლი დაათქრიალა.
ფრთანი მოხვია
მას, ვინც ეწვია,
ცისფერი მკერდით გადაეკონა
და ნაზი ქცევით
ტუჩების რხევით
გიჟი სტუმარი მთლად დაიმონა!..
სიცოცხლე ორი,
ძალა თანსწორი,
ერთი-მეორის ანდამატია.
მე კი აქ ვდგევარ
სევდისა ტყე ვარ:
„იქ, ბნელ საფლავში ჩემი ხატია“!..

ნ. ზომლეთელი.

ეშმაკის კალენდარი.

1911 წელი.

საზოგადო მოსაზრებანი. ათას ცხრაას თერთმეტი წელი თავისი გარეგანი მოხაზულობით სანუგეშოს თითქმის არაფერს წარმოადგენს. ის შესდგება სამი უბრალო ჯოხისა და ერთი კომბალისაგან.

სამი ჯოხი და ერთი კომბალი!

ჩვენი დაშინებული საზოგადოება აქ გამასწორებელ ძალას დაინახავს. მართალია ის ჯოხებს შეჩვეულია, ათასჯერ გაუვლია ქვეშე მისსა და ორი ათასჯერ გამოუცდია იგი ზემორე თვისსა, მაგრამ მას მაინც აშინებს შემთხვევითი კავშირი სამი ჯოხისა და ერთი კომბალისა.

უბრალო ჯოხების სიჭარბე წინააღმდეგ ერთი კომბალისა სრულიადაც არ მოასწავებს დემოკრატულ მიდრეკილებას ახალი წლისას. ჩვენის აზრით ის ამით იჩენს დამზოგველობას ჯოხების ხმარებაში, რადგან კომბალი უფრო ძვირია, ვიდრე ჯოხი უბრალო.

—

იანვარი.

სახელი „ია-ნ-ვარი“ ჩვენებურ ფილოლოგთა გამოკვლევით წარმოსდგება ორი ქართული სიტყვისაგან: „ია“ და „ვარი“. ასო „ნ“ მათ შესაკავშირებლათ არის ნახმარი. მაშასადამე იანვარი ჰქვია ისეთ თვეს, როცა ია ვარს ამბობს აყვავებაზე.

მიუხედავათ ამისა შესაძლოა მიმდინარე იანვარში აყვავდეს და გაიფურჩქნოს ყვავილი ჩვენი ცხოვრებისა „ქართული პრესა“. ამის ნიშნებს ეხლავე ვხედავთ.

თფილისის ადმინისტრაცია და აგრეთვე მამანი ქალაქისანი ენერგიულ ზომებს მიიღებენ ვირთაგვათა წინააღმდეგ, რათა უზრუნველ ყონ ქალაქი შავი ჭირისაგან, თუმცა უკეთესი იქნებოდა ეხსნათ იგი თავისი მზრუნველობისაგან.

ამავე თვის მიწურულში მოსალოდნელია დაბნელდეს სინათლე, მაგრამ არა მზე-მნათობისა, არამედ სინათლე ივანე როსტომაშვილისა.

გრიგოლ დიასამიძე მიიღებს პეტერბურგიდან ამ შინაარსის დეპეშას: „მეფე გაგიწყრეს, თემს შეეხვეწე, თემი გაგიწყრეს გარდაიხვეწე“.

„სახალხო გაზეთის“ რედაქცია მოსალოდნელია გადააკეთონ საოხუნჯო ჟურნალათ. სიტყვა „გადაკეთება“ თავისი მნიშვნელობით მოასწავებს უვარგისის გაუმჯობესებას.

კახეთის რკინის გზის ინიციატორები ენერგიულათ შეუდგებიან აღმაშენებელ ვირთხების მოშენებას.

„ცხოვრება—ხელოვნების“ რედაქტორ-გამომცემელი შესამჩნევად გააუმჯობესებს ჟურნალის...სათაურს.

ქალაქი ქუთაისი სიზმარში ნახავს, რომ მას ნიკოლაძის თავი გამობმია. მოინდომებს მისთვის სათანადო ჯაჭვის გადაკიდებას, მაგრამ თან არ აღმოაჩნდება. მეორე დღეს დაწვება ჯაჭვიანათ, მაგრამ ნიკოლაძეს ველარ ნახავს.

„შინაური საქმეების“ რედაქცია ხელის მოწერას გამართავს იმერეთის სამღვდელო პირთა შორის, რომ დრამა ფულების ნაწილით ოქროს კალამი უყიდოს ცნობილ მეცნიერ-მქადაგებელს ტრ. ჯაფარიძეს, რომელიც ამტკიცებს ქართველი სამღვდელოების უანგარობას.

მოსალოდნელია გადამწყვეტი შეტაკება ქუთათურ „დვორიანისტებსა“ და „კურნალისტებს“ შორის. ვინ დასძლევს ძნელი სათქმელია.

„ეშმაკის მახეში“ გაებმება ოთხი წარჩინებული ქართველი მოღვაწე, რომელთა ვინაობა ჯერ-ჯერობით საიდუმლოებით არის მოცული.

განსაკუთრებული კომისია ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოებისა შეუდგება იმის გამორკვევას, თუ რისთვის ეძახიან „სახალხო გაზეთის“ მრეცხავები ბ-ნ ნანობოვს „ჩვენ მომღერალს“, როცა მას ჯერ-ჯერობით ხმაც არ დაუძრავს ქართულათ.

ეშმაკი.

შარადა.

—

ხელი ავაღეთ ბოლო დროს,
ჩვენ შარადების წერასა,
მაგრამ რა, გაჩუმებითაც
მტრებთან ვერ გავხდით ვერასა.
დღეიდან ამა ხელობას
დავუბრუნდებით კვალადა,
და ავასრულებ, რაც კოლოს
აკუთვნეს საღმრთო ვალადა.

—

ის ქრისტეს მოციქულია
ეჭვებით მხოლოდ ცნობილი,
მე დამავიწყდა სახელი,
თუ როგორ იყო ხმობილი,
და მინდა იყოს თქვენ მიერ
ახსნილი, გამოცნობილი.
როგორც კი ახსნათ, იმ წამსვე
გაჰკვეთეთ შვაზე სწორათა,
მეორე ნაწილს მიხედეთ,
პირველი დასდეთ შორათა.
შემდეგ მონახეთ მცენარე,
ხარბათ ტან ანაყარები,
გინდ ტყეს მიადექ, გინდ ჭალას,
მუნ ნახოთ განახარები
სახელი საზოგადოა
ბუჩქთა არ დასადარები,
წიფელა, მუხა, კოპიტი,
მისი არიან გვარები.
მიადგით პირველს მეორე,
როგორც გჩვევიათ ძველათა,
(ორათ ორია მარცვალი,
მიაკოწიწოთ ხელათა!)
გამოვა ტურფა საგანი,
საამო სანახველათა,
გამოსადგმელი მხეცთათვის
ქალაქად, მინდორ-ველათა.
ეშმაკის იარაღია
უბრალოთ მოსაწყობელი,
თუ გაეკარი ახლორე,
მარცხიან დაუნდობელი,
იგი არ იყოს ჩადგმული
ძნელათ მონახოთ სოფელი,
სადაც კი ბუდობს მხეც-კაცა
დასაჭერ მოსასპობელი.
ახალი მოგონებაა,
თუმც ძველთაგანვე ნაცადი...
მოურიდებლათ მიადგეს,
კაცი ვინც იყოს კაცადი,
მაგრამ თუ ფლიდი გაეკრას,
სხვაფერ მყავს გამონაცადი;
შიგ მოიმწყვდიოს, გახადოს
მუნ დრომდე შემონაცადი.

კოლო.

1911 წლის პირველი იანვრიდან ახალი ყოველ-კვირეული
იუმორისტული ჟურნალი

„ეშმაკის მახე“

„არსებობის დაწყება“ არც ისე ძნელი საქმეა. ჩვენში ბევრი, ძლიერ ბევრი ჟურნალ-გაზეთობა იწყებს ხოლმე არსებობას, მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ ჩვენი ცხოვრების უკუღმართობა უმალვე უსპობს მათ სიცოცხლეს: ზოგს ბუნებრივის და ზოგსაც ხელოვნური სიკვდილით. კვდება ის, ვინც ტირის, კვდება ის, ვინც იცინის! „ეშმაკის მახეს“ სრულიად არ ენატრება სიკვდილი, მაგრამ თუ მას მაინც უწერია ახლო აღსასრული, ის ამჯობინებს სიცილში მოკვდეს; ტირილით კი მას მისი ჭირისუფალნი დაიტირებენ. თქვენ იქნება იკითხოთ, ვინ არიან ეს ჭირისუფალნი:

1) პირ მომცინარეთ მზერალნი, თუმც ჭირ.ვარამის მწერალნი:

აკაკი (ზაზარა წედოა მსვდელობით, ნაქები ენა მეზრედობით). **ბენუკა** (მესტვირე მხნე და ეუდი: გვიან გვიან სწერს წეეუდი). **ბლიკვაძე** (ცნობილი იგავ-არაკეთ და სტვირის ტკბილი რაკრაკეთ). **ეშმაკი** (მატდური, მოუსვენარი, დაუნდობელი მებენარი). **თაგუნა** (მეცნიერებით ცნობილი, ბრიზაში გამოწრთობილი). **კენტი** (ბათუმის დარაჯ-მზვერავი, მოხსენებათა მწერავი). **ონისიმე** (მემატიანე ოდიშის, არ უყვარს მოხდა ბოდიშის). **პიტნა** (მწერალი -გურულ სტენისა, ბატრონი მახვალ ენისა). **ფონ-ტეფო**)მგესლავი ნაკურთხ მამათა:ის არ ასვენებს ამათა). **შხანკოლა** (კვიმატი, ენა ფხიანი,ხულიგანთ მისტეს ზიანი

2) ჭაბუკნი, ნოარჩნი მგოსანნი, ტკბილ-ხმოვან ლირიკოსანნი:

ნ. ზომლეთელი, თურდოსპირელი, იასამანი, ლეჩხუმელი მალაქიაშვილი, რუხაძე, ქუჩიშვილი.

აი ჭირისუფალნი „ეშმაკის მახისა“! ამიტომაც არ ეშინია მას სიკვდილის სახისა. სიცოცხლეში იგი არ დაინდობს არავის; ცოდვა მიუძღვის რამე ვის:

არ დაინდობს:
არც ქურდ, არც ყბედს,
არც სოფლის ჩარჩს,
არც ქველმოქმედს,
არცა მწერალს,
არც ჩაფარს, გზირს,
ვინაც მოჰგვრის
ხალხს გასაჭირს,
არც მექრთამე
ჩინოვნიკებს,
არცა ყმაწვილ
კუდაბზიკებს,
არ დაინდობს
არც პედაგოგს,
(რა თქმა უნდა
ზოგსა და ზოგს)
არცა მსაჯულებს,
არცა ვექილს,
უსამართლოს
გამოცვეთილს.
არც მსახიობს,
არც მომღერალს,
არცა უშნო
ლექსთა მწერალს,
არ დაინდობს
ის არავის
პირში მხელა
სჭირია ვის.

და თუ სიკვდილი აუცილებელი იქნება, ისეთ ქელეხს გაუმართავს თავისს მკითხველებს, რომ ზოგიერთ ქორწილსაც გადააჭარბოს.

ვიდრე ცოცხალია, „ეშმაკის მახე“ ეცდება გააუმჯობესოს თავისი ფურცლები, როგორც მხატვრობის, აგრეთვე შინაარსის მხრითაც. ახლო მომავალში ის **ელის სურათებს**, რომლებიც მეტ მიმზიდველობას მისცემენ მას.

ხელის მოწერა „ეშმაკის მახეზე“ ყოველთვის შეიძლება ᲒᲔ იმდენი ვადით, რამდენი ვისაც სურს. წლიურათ ღირს 5 მან., ნახევარი წლით 2 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 50 კ. ერთი თვით 50 კ.

შემთხვევითი კორესპონდენტები წერილებს ამ ადრესით გამოგზავნიან: Тифлисъ, Грибоѣдовская, № 34. Типографія Е. Кереселидзе, для „Эшмакисъ Махе“.

ფულიანი წერილი კი უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Габаевскій пер. Типографія „Цховреба“ Аслану Каландадзе.

მოხსენება ქუთაისიდან

(რისთვის არ დაამტკიცეს იაკობ ფანცხავა).

ძმაო ეშმაკო! თანახმად თქვენი ფიცხელი მოწერილობისა ორმაგი ჰაეროპლანით გავემართე ხონიდან ქუთაისს, რათა დაუყონებლივ გამომერკვია ის მწვავე საკითხი, რომელიც ასე სატანჯავს თურმე ჯოჯოხეთის მბრძანებელს. სახელდობრ: 1) რამდენ ხანს დარჩება ქუთაისი უთაოთ და 2) რა მიზეზების გამო დაიწუნეს თავად იაკობ ფანცხავას პატივცემული თავი.

მოწერილობის პირველი ნახევარის გამორკვევა იოლად შევძელ. ჯერ, როგორც უცნობმა ქუთაისსამ, ვიკითხე—ყავდა თუ არა როდისმე ქუთაისს თავი? პასუხი ყველასაგან ერთი და იგივე იყო:—არასოდეს!—ქუთაისი მარად უთაო იყო! ამგვარათ წარსულის შესახებ ყოველივე ეჭვები გამიქარწყლეს; ქუთაისს თავი, თავი რასაკვირველია თავიანი, არასოდეს არ ყოლია. ის უთაოდ დაბადებულა და უთავბოლოთ ატარებს თავის უბად-რუკ სიცოცხლეს. აშკარა არის ისიც, რომ ეს ქალაქი კიდევ დიდხანს იქნება უთაოთ, რომ მისთვის ეს თვით განგების ხელს დაუწერია ტალახიან გულზე, რადგან შუბლი ვერ უნახავს იმისი.

— ვიდრე ქუთაისში „დავითები“ და „დავითების“ პარტია იარსებებს, ვიდრე ქუთათური „კლიაუზა“ არ მოისპობა, ქუთაისსაც არ ეღირსება რიგიანი თავიო, მიპასუხეს გამოცდილმა პირებმა.

მე უიმედოთ ჩავაქნიე ხელი, და განვშორდი მათ.

მოვრჩი რა პირველი მოვალეობის შესრულებას, შევუდექი მეორეს: გამორკვევას იმისას, თუ რა მიზეზების მიხედვით დაიწუნეს თავი იაკობ ფანცხავასი.—უპირველესად გავექანე თვით ფანცხავასაკენ. ჩამოვრეკე ზარები და როგორც იქნა გამოვიდა იაკობი. ძალზე მობღუშული და დაღონებული.

— „ვინა ხარ“? ამაყად მკითხა მან.

— ეშმაკის შიკრიკი გახლავარ. მივუგე მე.

— „მობრძანდით“!

შევედით იაკობის კაბინეტში. დავსხედით.

— „რისთვის გასჯილხართ, ბატონო ჩემო? შემეკითხა ის.

— მე მინდა გავიგო, რა მიზეზია თქვენი თავად დაწუნებისა?

— „ღმერთმანი არ ვიცი. ზოგიერთები ამბობენ, ვითომ იმისთვის დამიწუნეს, რომ გლეხი ვარ... ქუთაისი თავად-აზნაურების ქალაქია, და თავიც თავადი, ან აზნაური მაინც უნდა იყოსო; ზოგიერთები იმას ამბობენ, ვითომ „სოციალისტი“ ვიყო. პირველ მიზეზს გვერდს ვერ ავუხვევ, მეორეს კი იოლათ—„მავნე ენები“, თუ მომაწერენ რასმე, თორემ ვინ არ იცის ჩემი მიმართულება?

პირველი მიზეზი მეც საპატიოთ მივიღე, ძმაო ეშმაკო, ხოლო მეორეს ეჭვის თვალით შევხედე. გამოვემშვიდობე იაკობს და კალისტრატე ჩიკვაიძესთან წავედი. ვიფიქრე: „ის გამოქნილი კაცია, ყველაფერი ეცოდინება მეთქი. „კალისტრატე სახლში არ დამხვდა—„კლუბშიაო“. წამოვედი სახლიდან და კალისტრატეს შიგ კლუბის შესავალ კარებთან მოვუსწარი. ჩამოვაგდეთ საჭირო საგანზე ლაპარაკი, მაგრამ ის განზრახ თავს იკატუნებდა, თითქო არაფერი იცისო.

—„უმაწვილო, ეგ რა კითხვაა, მე საიდან მეცოდინება იაკობი რაისთვის დაიწუნეს“? მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ქუთაისის თაობა მე თითონ მინდოდა, მაგრამ შეურცხვათ ქუთაისის ხმოსნებს თავიანთი მუნჯი თავები, რომ არ მინდომეს. მე რომ ავერჩიე ერთ კვირაში ავწევდი სანოვაგეთა ფასს, მეტადრე თევზეულობისას. ქალაქის კეთილდღეობისათვის ესეც ბევრს ნიშნავს და დამტკიცებით, ხომ უთუოდ დაძამტკიცებდენ.

განვშორდი კალისტრატეს და დავით ლორთქიფანიძისაკენ გავექანე. ჩამოუარე ბულვარს, ბულვართან თავადიშვილის ქალები თოლაბურთას თამაშობდენ. მათ შორის კიტა აბაშიძეც ბურხალობდა. შევაჩერე თავადიშვილის ქალები და შევეკითხე:

— თქვენ გავლენიანი ხალხი ხართ, შესაძლოა იცით, რა ძიზეზების მიხედვით არ დაამტკიცეს იაკობი თავად?

თავადიშვილის ქალებმა უკმეხათ მიპასუხეს:

— იმისთვის, რომ „ძუძიკია“! მეგონა კიტა უსაყვედურებს ამ პასუხისათვის მეთქი მაგრამ...

დავით ლორთქიფანიძემ წინააღმდეგ მოლოდინისა ერთი ფხიზელი მოსაზრება გამოსთქვა:

— ჩემის აზრით იმიტომ დაიწუნეს ფანცხავა, რომ მის არჩევანში „პრიკაშჩიკები“ იღებდენ მხურვალე მონაწილეობას. მაშასადამე ის არა საიმედოა.

რაკი ექიმ ნაზაროვს ვერაფერი აზრი გამოვსტყუე აღნიშნულ საკითხის შესახებ, პირი ვიბრუნე და კონსტანტინ იაკოვლევიჩისაკენ გავემართე. ის ცნობილი კორესპონდენტია ახლად ჯვარდაწერილ თფილისელ რუსული გაზეთისა. მიპასუხეს: ქუთაისის ინტელიგენტები ყავს მოპატიჟებული და მათთან კარტს შეექცევაო. გავბრუნდი. მივედი მეორე სა-

ღამოს. კიდევ ვიკითხე კონსტანტინ იაკოვლევიჩი, კვალად მიპასუხეს: კარტს თამაშობსო“. დასწყევლოს ღმერთმა, ამისგან ალბათ ვერაფერს ვერ გავიგებ მეთქი და უმადური გავექანე დავით ბაქრაძისა, დავით ნიჟარაძისა, ექიმ სისო ლორთქიფანიძისა, კირილ ბეჟანიჩისა და სხვა საპატიო პირთა ბინებისაკენ, რომ იმათგან მაინც გამეგგო რაიმე გარკვეული აზრი აღნიშნული საკითხის შესახებ. მაგრამ მწარეთ მოვსტყუვდი. მე თურმე იქ ვეძებდი გარკვეულ აზრს, სადაც მას არასოდეს არ გაუვლია და აბა რა უნდა მენახა.

ხონელი ეშმაკი.

უცნაური გამოცანა.

გამოცანა მინდა გითხრათ,
მაგრამ ძნელი ასახსენი.
მინდა გკითხოთ: თუ რა არის
ის ოხერი მძიმე სენი,
ქართველობას რო დასჩემდა,
რომ აიკლო მხარე ჩვენი,
რომ ერთგვარათ დაგვიცარა
სულელია ვინ, თუ ბრძენი?
მან წარსტაცა მთვარეს შუქი,
მზისა სხივი დააბნელა,
განაშორა გველი სიბრძნეს,
ცბიერებას კუდა—მელა,
ახალი და ნორჩი სახე
ჩამოაჭკნო, დააძველა,
უგონო და გონიერი
ერთმანეთს დაუმტრო ყველა?
არვის ძალუძს სძლიოს იგი,
იგი სენი ქართველური,
მასში მჭიდროდ ჩაქსოვილა
ღალატი თუ მტრობა, შური.
ოდეს ვაჟკაცს შეეყაროს,
მყის გახადოს უსუსური,
ოდეს ბრძენსა და განსწავლულს—
უვიცი და უგუნური.
თუ კი დროზე გამოიცნობთ
ამ პატარა გამოცანას,
შომავალი კვირისათვის
დაგიწერთ კვლავ ამისთანას.
მხოლოდ გთხოვთ ვინც გამოიცნოს,
არ მოჰფინოს მთელ ქვეყანას,
ვერიდებით ჩვენ ამ სენის
შარა გზაზე გამოტანას..

კოლო.

მილიარდერ რ. ბილის საუზმე.

ერთმა ამერიკელმა გაზეთმა გამოიანგარიშა, თუ როგორ უმზადებენ და რა უჯდება ყოველ დღე საუზმე მილიარდერ ბილს. ბილი საუზმობს დილის ათ საათზე. რომ ამ დროს საუზმე მზათ იქნეს, სასახლის გამგე ტორი დგება დილის ექვს საათზე. ამისათვის ის ღებულობს წელიწადში 400,000 მან. ჯამაგირს. ადგება თუ არა ტორი, ის ტელეფონით რეკს გარისბურგში, რომ იქიდან ელექტრონის გზით, რომელიც მხოლოთ ამისთვის არის გაკეთებული, მოიტანონ ყველა საჭირო სანოვაგე. ამავე დროს ტორი ტელეფონით აღვიძებს სამზარეულოს უმთავრეს გამგეს, გულდს. გულდი ამისათვის ღებულობს წელიწადში 300,000 მანეთს. შვიდის 15 წუთზე გულდი ტელეფონით უძახის სამზარეულოს უმცროს გამგე რიკს, რომ მან საჭირო განკარგულება მისცეს უფროს ეკონომს ტომპსონს. ტომპსონი შვიდის ნახევარზე ტელეფონით უძახის უფროს მზარეულს ჟაბოს, რომელიც თავის მხრით სწორეთ შვიდ საათზე აღვიძებს ათ უმცროს მზარეულს. უმცროსი მზარეულები აღვიძებენ მთელ ჯარს უბრალო მზარეულებისას და სამზარეულო უბრალოს მოსამსახურეებს და რვის ნახევარზე, როცა სანოვაგეს მოიტანებენ, სამზარეულოს მთელი შტატი მზათაა და იწყება მუშაობა. ასეთი წესი საუზმის მზადებისა დიდი ხანია შემოღებულია ბილის სასახლეში. საერთოთ სამზარეულოს ყველა მოსამსახურეები უჯდება მას წლიურთ 3,000,000 მანეთი.

სამზარეულოში მუშაობის გაჩაღებასთან ერთად იწყება მუშაობა სასახლის მეორე სართულშიაც, რომელიც ბილს სასადილოთ აქვს. სასადილოს მოსამსახურეს სპეციალური შტატი ყავს. ერთნი სტოლის საფარს და ხელსახოცებს აწყობენ და განაგებენ, მეორენი ჭურჭლეულებს, მესამენი ოქროს და ვერცხლის დანა ჩანგლებს და სხვა. ეს რთული პროცედურა სასადილოში გრძელდება ათის ნახევრამდე, ე. ი. იმ დრომდე როცა სამზარეულოდან შეატყობინებენ ტელეფონით, რომ საუზმე მზათაა. ამ დროს და საძინებელი ოთახიდან გამოვლენ ბილის პირადი მოსამსახურეები, რომელთაც წინ მოუძღვის უფროსი მოსამსახურე და ყველანი ჩაირაზმებიან კიბის გასწვრივ.

ათს ხუთი წუთი აკლია, რომ ბილის სავარძელთან გაჩერდება ბილის პირადი ნდობით აღჭურვილი უფროსი მოსამსახურე და სწორეთ ამ დროს იწყება სამზარეულოდან საუზმის წამოღება; უმცროსი მზარეულების უფროსი საუზმეს ოქროს თეფშით

უფროს მზარეულს გადასცემს. ის გასინჯავს და უმცროს გამგეს გადასცემს, ის უფროს გამგეს, უფროსი გამგე ეკონომს და ასე სანამ ოქროს თეფში კიბემდის არ მოაღწევს, ახლა პირადი მოსამსახურეების ხელიდან-ხელში გადადის და სწორეთ ათს საათზე საუზმის თეფში სტოლზეა დადგმული.

საერთოთ საუზმის მომზადებაში, სტოლის გაწყობაში და მიტანაში მონაწილეობას იღებს 279 კაცი. დაწვრილებით გამოანგარიშებულია რომ საუზმე ჯდება 30,000 მანეთი ყოველ დღე. ამ 30,000 მანეთიდან მოსამსახურეებს ჯამაგირში იხარჯება 29,999 მ. 85 კ. თვითონ საუზმე კი... **15 კაპეიკი.**

საუზმე ყოველ დღე ერთ ჭიქა რძის და ერთი ვიშისაგან შესდგება. ამის მეტს არც ჭამა და არც სმა გაზეთის სიტყვით არ შეუძლია.

ბ. თაგუნას ახალი რომანი *)

წინასიტყვაობა

განუსაზღვრელი სიხარულის გრძნობით შეპყრობილი ვიღებთ ხელში ჩვენს ერთად-ერთ იარაღს—კალამს, რათა ვაუწყოთ ქართველ ერს ახალი გენიოსის, ეროვნული დიდების და სიამაყის მოვლინება. მიმდინარე 2725 წელი ოქროს ვარაყით ჩაიწერება ართულ ლიტერატურის მატიანეში. და განა

კრიტიკოსი ფან-ჯუ-სე.
(სურ. თაგუნასი)

*) ვინაიდან ავტორს ეშინია, იმ მწოლბების მდგომარეობაში ჩავარდნა, რომელნიც ჯერ დაუბადებელ ბავშვს „აბრამს“ არქმ ვდენ, ამ რომანის შესაფერი სახელით მონათვლას რომანის დასრულება დის არ აპირებს

მხოლოდ ქართულის? ჩვენს თანამემამულეს წილად ხვდა მსოფლიო თაყვანის ცემის და გაკვირვების დამსახურება. მისი რომანი, რომელიც (ჩვენდა სამწუხაროთ!) პირველათ იბეჭდება ქართულათ დააფასეს კიდეც განათლებულ უცხოეთში.**) განთქმული

მწერალი ჩხვანდღუპუ

კრიტიკოსი ფან-ჯუ-სე თავის ახალს 2-ტომიან თხუზულებაში „მსოფლიო კაზმული მწერლობის გამდიდრება და ბ. თაგუნა“ ერთ ადგილას (გვ. 7517-18) ამბობს: “... „მუხლ-მოდრეკით თაყვანის ცემის ღირსია ის ერი, რომელსაც შესწევს ძალა და ღონე სტყორცნოს ზეცას მსოფლიოს გამაბრწყინებელი მნათობი. ქართველ ერისაგან ჩვენ ბევრს მოველოდით და მოველით, მაგრამ ასე უბადლო მხატვარს თუ მოგვცემდა იგი, ჩვენ არ გვეგონა.

დიდება და კიდევ დიდება საქართველოს! მადლობა და თაყვანის ცემა ბ. თაგუნას! ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა და დიდი დღე! მისი განსაცვიფრებელი ნიჭი კიდევ ბევრ-ჯერ აღიტაცებს და აღატყინებს ოცდამერვე საუკუნის კაცობრიობას და მის შთამამავლობას!“

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ასეთი ამონაწერებით ვერაფერს შევმატებთ ბ. თაგუნას ახალი რომანის მიუწდომელ ღირსებებს, მაგრამ გრძნობამ ეროვნულის სიამაყისა დაგვძლია, რის გამოც ნებას მივცემთ ჩვენს თავს, მკითხველთა ყურადღება ბუშმენების ცნობილი მწერლის ჩხვანდღუპუს შემდეგ სიტყვე-

**) ჩვენმა გენიოსმა თან მემამულემ, რადაც უცნაური მიზეზების გამო (გენიოსებს სჩვევია უცნაურობა) ჯერ უცხო ენებზე დაბეჭდა თავისი ჭეშმარიტი საკვირველი თხზულება და მხოლოდ შემდეგ დათანხმდა ქართულათ გამოეცა. ასე რომ (ოი! სირცხვილო!) ჩინელები, ამერიკის ინდიელები, ბუშმენები და მრავალი სხვა განათლებული ერი ამ შემთხვევაში ჩვენზე ბედნიერები გამოდგენ.

ბზე შევაჩეროთ: „ბღადგარზუნ ქლიბღინა, შრუს თაგუნარხ ქრპყიტუ (გესმით?! ქრპყიტუ!) თ'ეიდ-ი'შლამ ექლაფხიტინ ვექლაქუხ!... ვართხირ, ვარ-თხირ, თაგუნ!!..“

კმარა! ნუ ვაგვიანებთ მკითხველს! დეე, ადრე შეუდგეს ხელოვნების ამ უცხო ნაწარმოების კითხვას და დაუყონებლივ განიცადოს ის ჰეშმარიტათ ზეციური ნეტარების წუთები, რომლის მომნიჭებელიცაა ბ- თაგუნას რომანი.

განიძე.

ავტორის წინასიტყვაობა.

არც ისე კადნიერი წარმოდგენა მაქვს ჩემი თავისა, რომ ყველა ის ეპითეტები, რომლითაც ბ. იგანიძე და ჩემი უცხოელი კრიტიკოსები მაჯილდოებენ, მორცხვათ შევიფერო და თანხმობის დუმილით თავი ჩავლუნო.

„გენიოსი“, „მსოფლიოს გამაბრწყინებელი მნათობი“, „სამშობლოს სიამაყე“... ღმერთო ჩემო! როცა ასეთი სიტყვები მესმის, ლამის არის ჩვენი კეკლუცი სატახტო ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კოშკი ავარჩიო, ზედ ავიდე და საყოველთაოთ დავიყვირო:

— ბატონებო! გეფიცებით ღმერთს, სცდებით! მე ისეთივე უბრალო მომაკვდავი ვარ, როგორც პეტრე, ივანე, გოგია! ჩემი უპირატესობა მხოლოთ ის არის, რომ განგებას ჩემთვის სხვა და სხვა მოვლენათა და გარემოებათა ჩემებურის, განსხვავებულ თვალსაზრისით აწონ-დაწონვისა და გამოფიქრების ნიჭი მოუცია. და განა ეს უნდა ჩაითვალოს „მი უწდომელ“, „უბადლო“ ნიჭათ? არა და არა!..

ბ. იგანიძე მისაყვედურებს, რათ მოხდა, რომ თაგუნამ თავის რომანი ჯერ უცხო ენებზე გამოსცა და მხოლოთ შემდეგ ბეჭდავს ქართულათო. ასეთ ჩემს საქციელს უცნაურს უწოდებს და რკალებში შენიშნავს: „გენიოსებს სჩვევიათ უცნაურობაო“.

იმედი მაქვს, მკითხველი მიხვდება, რომ ამ „უცნაურ საქციელთან“ გენიოსობა არაფერ შუაშია; რომ მე, რაღაც, ჩემგან დამოუკიდებელ შიშისა თუ მოკრძალების გამო ვერ გავკადნიერდი, პირდაპირ ჩემს თანამემამულეთა განათლებულ სამსჯავროზე გამომეტანა ეგ რომანი და მხოლოთ ამიტომ ჩავიდინე ეს „შეცოდება“.

რაც შეეხება გენიოსობას და უცნაურობას, მე მარჯვე დროთ მიმაჩნია სწორედ ახლა შევაბრუნო კეხი და თვით ბ. იგანიძეს გენიოსობა დავამტკიცო (თუ ამას კიდევ დამტკიცება სჭირია) მისი უცნაური ჩვეულების მიხედვით.



ყველამ იცის ბ. იგანიძეს უცნაური ჩვეულება: შეარეული ტანსაცმელით მოკაზმვა. არა ერთხელ გამოსულა იგი საჯაროთ ასეთ ნაირათ მორთული: ნახევარი, მარცხენა მხარე თავიდან ფეხამდის უბრალო მე XX საუკუნის მუშის ტანისამოსით აქვს შემოსილი, ხოლო მეორე, მარჯვენა, ნამდვილი ქართულის, იმერული ჩოხა ახალუხით, ქამარ-ხანჯლით, წუღა-მესტითა და კრაველის ბოხოხით. განა ამაზე მეტი უცნაურობა გაგონილა? ეს პირველი საბუთი მისი გენიოსობის დასამტკიცებლათ.

მეორე. აგრეთვე ყველამ იცის, რომ ბ. იგანიძე დიდის გულსმოდგინებითა და გატაცებითი კვლევს და იძიებს კაცობრიობის ძველ რელიგიურ მოძღვრებათა სისტემებს. გაგეგონებათ აგრეთვე, რომ ყველა ამ მოძღვრებათა შორის მან აირჩია და თავის სარწმუნოებათ გაიხადა შიიტების რჯული, რომელიც ისე შეისისხლხორცა, რომ მის წესებრივ მხარესაც ბულ

მოდგინეთ ასრულებს. არა ერთხელ გინახავთ, რა თქმა უნდა, ბ. იგანიძე და მისი მიმდევრები (შიიტების მთელი საზოგადოება შექმნა მან!) საჯარო მოედანზე თავიანთ ფრიად წმინდა, მაგრამ სამწუხარო ჩვეულებათა ასრულების დროს: ამ დროს, რელიგიურ ექსტაზით შეპყრობილი იგანიძე XX საუკუნის უბრალო მუშის ჩაქუჩით ცალ ხელში, ხოლო მეორეში ქართული ხანჯლით, ჩემთვის უცნობი კმაყოფილებით ისახიჩრებს თავს: ჩაქუჩს გააფთრებით ირტყამს სახის მარჯვენა მხარეზე (რომელიც წმინდა ქართულათ აქვს შემოსილი), ხანჯალით კი მუშურათ ჩაცმულ მარცხენა მხარეს იჩეხავს. ამასთანავე სასტიკათ გაჰკივის ხოლმე რაც ძალი და ღონე აქვს:

— „შახსეი-ვახსეი! შახსეი-ვახსეი“!

აი რასა ჰქვიან გენიოსური უცნაურობა!..

ცოტა არ იყოს საგანს ავცდი. ბოდიშს ვიხდი და ვთავებ. ქართულ პრესაში თითქმის ყოველ დღე წააწყდებით ცნობებს იმის შესახებ, თუ რას ვმუშაობ ამ ჟამათ მე, რას ვამზადებ დასაბეჭდათ ახლო მომავლისთვის და სხვ. და სხვ. ამ ცნობათა უმეტესობა, სამწუხაროთ, ჭეშმარიტი არაა. ტყუილია, მაგალითათ, გაზეთ „ქართულ დროშაში“ აღნიშნული ამბავი, თითქოს მე-XX საუკუნის ორი გენიოსი დრამატურგის, ქართველის—პ. გოთუასი და ნორვეგიელის ბ-ნ. იბსენის—ცხოვრებიდან რომანს ვწერდე *). სიმართლესთან შორსაა აგრეთვე მრავალი სხვა ცნობებიც, სხვა და სხვა გაზეთ-ჟურნალებში მოთავსებული. ამ ჟამათ მთელი ჩემი არსება გატაცებულია უძველესი დროის ისტორიის შესწავლით. მე მხოლოდ გუშინ-წინ დავბრუნდი ძველი ელლადის ანუ საბერძნეთის სატახტო ქალაქ ათინიდან, სადაც განუწყვეტელ კლევა-ძიებაში გავატარე წელიწადზე მეტი. ვწერ დიდ რომანს საქართველოს უძველესი დროის ცხოვრებიდან. როგორც მოგეხსენებათ ძველ ელლადასა და კოლხიდას შორის დიდი მეგობრული განწყობილება და განუწყვეტელი კავშირი და მისვლა-მოსვლა იყო. ამ მეგობრობით ყოვლად უნამუსოთ სარგებლობდენ მაშინდელი ბერძნები. მათ მითვისეს ჩვენი კულტურა, გადაიტანეს ჩვენი ზნე-ჩვეულებანი, გაგვიქურდეს ენა. საკმაოა მოვიგონოთ რამდენიმე „ბერძნული“ სიტყვები, რომ დავრწმუნდეთ, როგორ გვექცეოდა მუხანათი მეგობარი ერი. „მელანი“ (ბერძნული „მელას, მელაინა, მელან = შავი), კალამი (ბერძნული „კალამოს“—ლერწამი) „იადონი“ (ბერძნული ჰაიდონ) და მრავალი სხვა ამგვარი სიტყვები სულ ჩვენი საყვარელი ენიდან აქვთ მოპარული.

ეს კიდევ არაფერი, რადგანაც ბევრი სხვა ერებიც სჩადიოდენ ასეთ უტიფრობას. სიტყვების მოპარვას და მითვისებას თქვენი ჭირი წაუღია. სამწუხარო ის არის, რომ ცბიერი ბერძნები ამით არ კმაყოფილდებოდნენ და საზოგადო მოღვაწეებსა და ეროვნების დამამშვენებელ მწერლებსაც გვპარავდენ.

მე უტყუარი საბუთები მაქვს ხელში იმისი, რომ ჰომიროსი ქართველი იყო, მეგრელი ლაპარტყავა, სოფოკლი—გურული ჩხაპუტაიშვილი, ხოლო არისტოტელი—ზესტაფონელი მებაკალეინე—გვარათ გვაშტიბეიშვილი *).

აი რა გვარი ოინებით და ხრიკებით გაითქვა სახელი ელლადამ. ყველა ეს მდიდარ მასალას იძლევა ჩემ მიერ განზრახულ რომანისთვის. ვნახოთ!

თაგუნა.

---

*) მოვაგონებ პატივცემულ გაზ „ქართ. დრ—ს“, რომ იბსენი მოკვდა 1906 წ., მაშინ, როცა გოთუას ნიჭმა მხოლოდ ფრთა გაშალა და ამ ორ დიდებულ დრამატურგთა შორის არავითარი დამოკიდებულება არ ყოფილა, თუ ანგარიშში არ მივიღებთ იბსენის ერთად ერთ წერილს, რომელიც 1896 წლის კრისტეშობისთვეში მიუღია, იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზდა სტუდენტს, პ. გოთუას. წერილი შეეხება გოთუას მოთხრობას „კობრის თავს“ და მისვე „მოგონებებს გიმნაზიის ცხოვრებიდან“. იბსენი ამ წერილში აღტაცებით იხსენიებს ამ ორ შრომას და ბრწყინვალე მომავალს უქადის ჩვენს თანამემამულეს.

*) ეს აზრი პირველათ ბ. გ. ქ—მ გამოსთქვა 1909 წ. გაზ. «დროებაში». ჩვენმა სასიქადულო იუმორისტ-ფილოსოფოსმა მაშინ ოხუჯობაში ჩაატარა ეს მეტათ საგულისხმიერო აზრი. იმ დროს რომ სერიოზულათ გამოეთქვა ეს, მხოლოდ სიცილსა და სირცხვილს დაიმსახურებდა, რადგან მაშინდელი ეგრ. წოდ. სოციალ-დემოკრატები, რომელთაც დიდის თავგანწირულებით ებრძოდა ბ. გ. ქ, ყველი ფხიზელი აზრის დაუძინებელი მტრები იყვენ. ეს კარგათ იცოდა მან და ამიტომაც ხუმრობის კილოთი გამოაქვეყნა ზემოხსენებული აღმოჩენა.

ღება, რომ უზომო ლოდინის დროს მიწვეს და მიიძინოს.

საჭიროა, ძმაო ეშმაკო, ეს პატარა განმარტება მოათავსო მესამე ნომერშივე, რათა მკითხველი საზოგადოება შეცდომაში არ შევიყვანოთ. „ეშმაკის მახის“ მეორე ნომერში მოხსენებული იყო, თითქო სადგურის უფროსს თითონ გაემართოს თავისი იუბილე. შეცდომაა. იუბილე გაუმართეს მას დაბალმა მოსამსახურეებმა. გარდა ამისა, ეს ის სადგურის უფროსი არ არის, რომელმაც „ძველი ფულები შეიძინა“, არამედ ეს ის უფროსია, რომელიც „მათრახის“ ერთ-ერთ ნომერში ფანრით იყო დახატული. მე არა ვარ.

დიდი ჯიხაიში. ძმაო ეშმაკო! რა დაგიშავა დიდმა ჯიხაიშმა, რომ საახალწლო მილოცვები ერთი განაწერა მასაც არ არგუნე? იქნებ ბგონია მისალოცავი არაფერი გვქონდეს! ეს არ არის სიმართლე. აი მაგალითად: ყოფილმა მამასახლისმა ივ. ვაშაკიძემ ყელის ჯვარი მიიღო საზოგადო ფულების გაფლანგვისათვის. მისმა მოადგილე გ. სანაძემ კი 150 ქანქარი შეიძინა. ნ. ვაშაკიძემ არჩევნებში გაიმარჯვა და ნ. ჩხეიძე კი დამარცხდა. ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა „ვიზიტებში“ დიდი გამოცდილება გამოიჩინეს, ხოლო სცენაზე დიდი სიგლახე. რომელი ერთი ჩამოგითვალო, რაიც ჩვენს სოფელს მისალოცი და მისახმატკბილებელი საქმე აქვს. სამკითხველოს წევრებს სრულიად გადაავიწყდათ, რომ საწევრო ფულს გადახდა უნდა. გადაავიწყდათ აგრეთვე ქსენონ-აფთიაქის წევრებს საზოგადო კითხვების გადაწყვეტაში მიუდგომელი მსჯელობა. დიახ, ყველას გადაავიწყდა, რაც გადასავიწყებელი იყო, მაგრამ არ გვეგონა, თუ შენ, ეშმაკს, დიდი ჯიხაიში ასე გადაგავიწყდებოდა. სუმბული.

ჭაგანი. ძმაო ეშმაკო, სადა ხარ,
როგორ შორს დაიარები,
განა მოისპო სოფელში
ცხოვრების გამამწარები?
მო ინახულე მწერალი,
მუდამ ღია აქვს კარები,
ხელთ თუ ქანქარი არა გაქვს,
ბიჭი ხარ შეიპარები.
თუ შეგეშინოს მწერლისა,
სხვას მიაპყარი თვალები,
აგერ არ არის ლადიმე
იმას კი ვენაცვალები!
სამკითხველოის მამაა,
მიტომ ყავს მინამხრჩვალები
„უსახსრობითა მოკვდაო“
ამბობს ეგ შესაბრალები.

დარაჯი.

ეშმაკიც სწყალობს
და სულიც წმიდა.

—

ცნობა „ტეროორის“ შესახებ.

საღამოს ბინდმა
შეაკრთო ზეცა,
თხელი ლეჩაქი გადააფარა
და შორეული
მთისა მწვერვალი
ლეგა ღრუბლებში მიასამარა.
აქა-იქ მბაუტავ
ვარსკვლავთა თვალი
მაღლით დაჰყურებს დაბა ჩოხაულს...
ძილს მისცემია
მთელი სამყარო,
არ სძინავს ხოლოდ როსტომ ბოქაულს.
ეს არის, ახლა
მიიღო ცნობა,
რომ იქვე, ახლო, სოფლის სკოლაში
„ტეროორისტები“
ჩასაფრებულან
და სურთ როსტომი მოჰკლან ბრძოლაში.
მართალი არის
როსტომ ბოქაულს
არ ეშინია ტეროორისტების,
რომ გაბედული,
შეუპოვარი,
ღირსია დიდის ქებათა-ქების.
მაგრამ ღალატით
და ჩასაფრებით
სიკვდილი უმძიმს ცხოვრება გამტკბარს
და ამიტომაც
სტრაჟნიკთა რაზმი
გარს შემოარტყა ყაჩაღთა საფარს.

ა ლ ყ ა

ლუკუმი ღამე
გამეფებულა.
სკოლის დარბაზი, ვით ბაყ-ბაყ მდევი,
სდგას სიბნელეში
მარტოთ და ობლათ
ხშირი ბუჩქნარით ზურგ მონახვევი.
რა იცის მისმა
უტყვმა კედელმა,
რას იგრძნობს მისი კარი, ფანჯარი,
თუ ყოველ მხრიდან
ბედკრულ შენობას
როსტომის მძლავრი არტყია ჯარი?
თითონ როსტომი

პატარა ვეფხის ტყაოსანი.

მეს ერთსა ხელოვნებასა ეველანი ვერ მისწვდებიან:
ესა და ფეხი ლაბმის, ტვინითაც დაწდუნგდებიან,
ხუობელ, ირად, ვ ლიკო ხშარ-ხშირად ეწაფები ნ...
ნათ სხვებიც ჭბაძვენ ოდესაც ჩემთა „ბოდვლებში“ ძვრებიან

ვით მოსწავლეს უვიცობა ჯ გამოსცდის დვინის ლეკვა,
მასწავლებელს უტვინობა, უკულობა ერმოთ რბევა,
ხუცესს მისი დრამა ფული და მოხელეს ტუდი ქტევა,
მართ აკრეთვე ეშმაკს მეკეთრი მთორახისა გარდაქნევა!

თუმც მახე არის, მაგრამ ის ეშმაკის დანაბადია,
შიერიდან დაკითვალთვალებს, თუკი დაჭერა სწადია;
ესაც რომ ტუდი მიგიძღვის, უნდა შიშობდე, ცხადია;
თორემ აგიწვავს უკანალს—ძუ იეკვ, გინდა ხკადია

ისმენდი, მიეც გონება ამა ამბისა სმენისა:
როცა ხუცესი დრამაზე ტაბილათ მომაროავს ენისა,
მაშინ განიცდი იცოდე სარწეალესაკენ რბენასა...
სჯობს ქანქარიკე უბოძო, უბრალოთ სისხლთა დენასა.

გლეხსა კითხეს: ეგრე მწარალი რაზედ ხარ ასე ხშირად?
მიკვირს, რაო ხარ დადგრემილი ჯ ხმა შენი ისმის ძვირად?
მან თქვა: ტკივა გადამძრეს ხუოჯერ ამ ჩემ ბეჭთა ძირად,
მაგრამ თუ რომ გაკეშრთელე. მათ დგუსკამ ოთუს ბირად.

—კა.

„ტერორისტი“

(მართალი ამბის მიბაძვა)

ვაჟკაცს გაბედულს,
როსტომ ბოქაულს,
ბოქაულთ შორის
არ ყავდა სწორი...
ვრცელ საბრძანებელს,
დაბას, თუ სოფელს
დასტრიალებდა
ვითარცა ქორი.
ხალხს შეუგნებელს,
არ აკლებდა ხელს..
იცოდა „რიგი“ და „მორიდება“
მისი მათრახის,
(მწვავის და მკვახის)
ბევრგან ისმოდა
ქებათა ქება.
მაგნე კაცებსა,
(ქურდ-ბაცაცებსა)
ყველას იცნობდა
დაინახავდა...
არც „გამოსარჩენს“
ძრახავდა მაგდენს,
(თუ კი ვერავინ
დაინახავდა.)
სულ უსახლკაროს,
(თვალ ტანად საროს)
სახლიც იყიდა,
ადგილ-მამულიც,
და შავი დღისთვის,
წვრილ-შვილებითვის
შემოინახა
საკმაო ფულიც.
ასეა მუდამ,
თუ. რომ იუდამ
არ გილალატა
და არ გაგყიდა,
ვაჟკაცს გაბედულს,
როსტომ ბოქაულს

წერილები ეშმაკისა

სამტრედია. თაგვებმა დაგვლუპეს, ძმაო ეშმაკო თაგვებმა! მოგეხსენება, ადგილობრივ განყოფილებას წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისას გადაწყვეტილი ჰქონდა ამ წლიდან საკვირაო სკოლაში სწავლის დაწყება. როგორც ახლა გამოირკვა, ნებართვა თაგვებს მოუტაცნიათ, სოროში ჩაუთრევიათ და თავისი შვილებისათვის ბუდეთ გაუკეთებიათ. ხოლო ვიდრე განყოფილება მეორე ნებართვას აიღებდეს, მთელი წელიწადი განივლის. ამგვარათ, საკვირაო სკოლაში სწავლის დაწყება მოსალოდნელია არა უადრეს 1912 წლის იანვრისა.

რადგან იგ. პაპავას დუქანში ძლიერ ცივა, გადაწყვეტილია ბილიარდი სადგურის დარბაზში გადაიტანონ.

ის ჯგუფი, რომელმაც სადგურის უფროსს 25 წლის იუბილე გადუხადა, ახლო მომავალში ემზადება ახლი იუბილესათვის. იუბილიარი, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, უნდა იყოს „სტარში სოსტავიტელი“ მარგულაია.

ძლივს ელირსა ადგილობრივი საფოსტო განყოფილება შტატის გადიდებას. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღეიდან საჭირო აღარ იქნება მარკის საყიდლათ მომსვლელთათვის ბალიშის წამო-

ორი კნეინა.

(დეხუმიდან)

პირველი კნეინა შენ კი გენაცვალე, ჩემო ატატო, რომ დღეს არ დამივიწყე!.. მოდი ერთი მაკოცე, ღმერთმა ბევრი ახალწელიწადი მოგასწროს შენი კაი ქმარშვილით.

მეორე კნეინა: არ დამეკარგა შენი კოცნა და სიყვარული, ჩემო მაიკო! (ჰკოცნიან) შენზე უკეთესთან ვისთან წავიდოდი ამ ბედნიერ დღეს?!

პირველი კნეინა: აბა „ამხანაკო“ გიორგელა! ცეცხლს მოუმატე. (კნეინას) მობძანდი სტოლთან ჩემო ტატო, მიირთვი ტკბილეულობა, ტკბილათ დამიბერდა შენი თავი...

მეორე კნეინა: მაიკო, ღმერთი თუ გწამს „აფხანიკობისას“ ნურაფერს მომაგონებ. უფალმა ნუღა მოაბრუნოს იმისანა ახალწელიწადი იმ წელიწადს რომ იყო! თაფლი და შაქარი რამდენჯერ წევიღე პირისკენ, იმდენჯერ გამივარდა ხელიდან.

პირველი კნეინა: ატატო, ეკლესიაზე თუ იყავი დღეს? მე ველარ წევედი! ბატონო! მოგეხოვიან ე გამურული გლეხის გოგონები და დაგიწყებენ „ბლოშნას“! ისე ჩემმა ქმარშვილმა იცოცხლა, რავარც ერთხელ რომელიცხა იქნება იმისანე ვსტკეცო, რომ ბოლი ავადინო ლოყაზე.

მეორე კნეინა: კოცნამ შენი ჭირი წეიღოს მაიკო! აღდგომას გამოხტა ვინცხა ტინგიცა ბიჭი, დამიკრა თავი (გაუხმოს იმას ის თავი იესო მაცხოვარმა) და ჩამაცივდა: ჩემთან უნდა იცეკვო! ისე გამხეთქეს გულზე რომ ერთი არავინ უთხრა: „შენი ტოლი ხომ არა გგონიაო!“ ეს

მუზისა გვერდით,
ქვის მაღალ ყორეს ამოეფარა
(არვინ იფიქროთ
სიმხდალით ექმნას,
არვინ იფიქროთ იყოს მშიშარა!)
სკოლის დარბაზში
კი, უდარდელათ
დადის, ბაკუნობს „ბოროტ მოქმედი“
ალბათ ვერა გრძნობს
ის შავდღიანი
თუ რას უმზადებს მუხთალი ბედი.

დაზვერვა.

ვინ არის იგი
ვისაც სიმტკიცე
არ უღალატებს ასეთ ყოფაში?
თუმცა ჩვენს ნაცნობ
როსტომ ბოქაულს
ვერვინ აჯობებს ვაჟკაცობაში.
მან მოიწვია
სკოლის დარაჯი
და მიაგზავნა დასაზვერავათ
ფანჯრებთან „სტრაჟი“
ჩამოაყენა
გაქცეულების დასაჭერავათ.
მაგრამ მსახური
უარაღო
რას გახდებოდა ტეროროისტებთან?
მან ამჯობინა
ფანჯრით გაძრომა
და ჩასაფრება ბუჩქებში სხვებთან.
იქ კი, დარბაზში,
კვლავ ბაკი-ბუკობს
ის ურცხვი ვინმე და უშიშარი
თითქო საცინლად
აუღიაო
მას ბოქაული, როსტომის ჯარი.
ვერავინ ბედავს
ახლო მიდგომას
შორითგან აბა რა გარიგდება?
არავინ უწყის
ცხარე ბრძოლაში
ვინ გადარჩება და ვინ მოკვდება.

მწარე მოლოდინი.

გადის დრო-ჟამი,
მტერი არა ჩანს...
ის მხოლოდ წყნარათ იქ დაბაკუნობს,
თითქო როსტომის
მძლავარ მხედრობასთან
შებმას გაურბის, შემთხვევას წუნობს.
მამალმა უკვე
დაჰკრა საყვირი,
სიფხიზლის მცველმა ორჯელ იყივლა,
ცა აფერადდა
აღმოსავლეთით...
გულშემზარავი თენდება დილა.
უკვე გარკვევით
მოსჩანს ფანჯრები,
კარი ღიაა სკოლის დარბაზის...
გაპარტახებულ
მიდამოსა გავს,

წუწკი მამაძაღლები თავისას კი არ იშლიან მაინც... ხომ შეხედე რა ქნეს ვიქტორ ღოღელიანის დამარხვაზე?..

პირველი კნეინა: ქნეს და მეტი არა?! რაები არ იტატყანა ელია ურიამ! რა მომესწრო შენი ჭირიმე, მესოფლია ურია და „რეჩები“ გამიგონია?! ის ერთი ვიცხა გარუჯული ბიჭი რომ ლაპარაკობდა თურმე ჭედელი ყოფილა ჭრებალოს.

მეორე კნეინა: კაცი რომ ყოფილიყო ი ჭრებალო უნდა დეენგრია, იქიდან გვჭირს ყოველივე უბედურება, ელია ურიაც იქინე გამეიზარდა ჭედელიც და სხვებიც.

პირველი კნეინა: არა, დასამათრახებელი კი ვიყავით ყველა! სად ღოღელიანი და სად ჩვენ, რა გვინდოდა რომ მივედით. ნეტაი თუ იჭირავენ ი მამაძაღლებს რომ წეიგძელეს ენა?!

მეორე კნეინა: დამჭირავები თუ ყოფილიყვენ მაშინ დეიჭირავდენ. მარშალი იქინე იყო, ნაჩალნიკი, და პრისტავი. უნობენ „დანოსები“ წასულაო და იქნება იმითი იქნეს რამე.

პირველი კნეინა: შენი ჭირიმე ატატო არავისთან წამოგცდეს და „დანოსები“ ისე იცოცხლე წევიდა. ხელი აქანე მოაწერეს ჩვენსას, ჩემი თვალით ვნახე მე.—

ნაცნობი.

უპატრონობის ნიშანი აზის.
ოთახში კვალად
სიბნელე სუფევს,
ჩასაფრებულთა არ მოსჩანს სახე
მოუთმენლობით
იწვის მხედრობაა...
მსხვერპლს უთვალთვალებს როსტომის მახე.
აი სულ ცოტა
და დღის ნათელი
სკოლის დარბაზშიც შემოიჭრება...
და თვალსაჩინო
გახდება იგი
„ტეროორისტების“ ფარული კრება.

ი ე რ ი შ ი

უკვე გათენდა...
აღმოსავლეთი
მნათობთა მეფემ ააპრიალა,
გამოიღვიძა
მკვდარმა ბუნებამ,
კვლავ იგრძნო შვება, სიცოცხლის ძალა.
როსტომმაც ბრძანა
და სკოლის დარბაზს
გარს შემოერტყა რაზმი ძლიერი,
თოფ-იარაღში
გამოწყობილი
ვინ ახალგაზრდა, ვინაც ხნიერი
ხმალ ამოწვდილნი.,
თოფ მოღერილნი
მიადგენ... შიში აკრთობთ აღარა,
მაგრამ დახედეთ...
სკოლის დარბაზში
თხა დაბაკუნობს წვერებ ცანცარა.
თურმე მე თხა იგი,
თხა ჭეშმარიტი,
თხა უგუნური, თხა უმეცარი
შესულა სკოლის
ფართე დარბაზში
რაკი პირღია უნახავს კარი.
მუნ მთელი ღამე,
ჯავრიან გულზე,
ახალს ბინაზე ბოლთასა სცემდა
და იატაკიც,
მის ფერხთა ქვეშე
აღმაშფოთებელ ხმას გამოსცემდა.

დ ა ტ ყ ვ ე ვ ე ბ ა.

როსტომ მრისხანე
გულ განაწბილი,
ძილ განატეხი და განახელი,
ეკვეთა თხასა
დაუყონებლივ
ვითა აფთარი, მშიერი მგელი,
და დაატყვევა...
უბრძანა დარაჯთ
წამოეყვანათ ეს უგუნური
რომ მის კანჭებზე
თუ იმის ბეჭზე
დანაკარგ ღამის ეძიათ შური.

ყ რ ი ლ ო ბ ა.

მეორე დღესვე
მთელი სოფელი
განურჩევლათ: კაცი, თუ ქალი
ბოქაულისგან
დანაბარები
ჩოხოულისკენ ჩნდა მომავალი.
არვინ იცოდა
რაზე განრისხდა
დიდი როსტომი სწორ-უპოვარი
რა დააშავეს
წინაშე მისსა

ფოსტა

„საგლახო გაზეთის“ რედაქცია. გარდაქეშანს.

თქვენს უკბილო ოხუნჯობას
პასუხისა ვერ ვცნობთ ღირსათ.
წელს გამოგვრჩით „მილოცვებში“,
მოგილოცაგთ იმ გაისათ.

ბათუმი. ნინა ლორმჯარიას. არ დაიბეჭდება.

ქუთაისი. აჯოს. გრძელი სიზმარია და ცხადს უფრო გავს. არ დაიბეჭდება.

ნატანები. განბანიძეს. მილოცვების დრო წავიდა. თქვენი ლექსები რომ დავბეჭდოთ კიდევ მეტათ შესძულდება ნატანების მცხთვრებლებს ჟურნალ-გაზეთობა. უმჯობესი იქნება საყურადღებო ცნობები პროზათ მოგვწეროთ.

ხაშური. კიკოს. თქვენი „სცენა“ სწორეთ ისე, შეუფერებელია ჩვენი ჟურნალისათვის, როგორც იუმორისტული მწერლობა გარდანქეშანისათვის ანუ კურტანი ძროხისათვის. არ დაიბეჭდება.

ჭათურა. ხოსოს. ხოსოს უყვარს ლექსის წერა წერა, მაგრამ ჩვენ დავბეჭდოთ ვერა.

კულაში. ბარკს.

„დარდი რაც მომდგა ენაზე,
ლექსად დავწერე გველა მე
მინდა გაიგოს გვეყანამ
თუ რა გასაჭირს განვიცდი“

რედაქციას არ შეუძლია კერძოპირთა მაგალითით იხელმძვანელოს, და რაც კარებზე მოადგება ყველაფერი დაბეჭდოს.

აბაშა. ბირედს. თქვენ იწერებით:

„მე მიყვარს სახე ჩემი ოცნების
მომნიჭებელი ჭკუის და ცნების“

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს ეგრეთ წოდებული პლატონიური სიყვარულია.

რად სურს იყაროს სოფელზე ჯავრი.
მათ ტანჯვას ზეცაც
ცრემლებს აპკურებს
ცხარეთ დასტირის და დავალალებს...
ამ თანაგრძნობით
საქმეს უჭირვებს
ხალხს გატანჯულსა და განაწვალებს.
მთელი დღე იდგა
ხალხი ტალახში,
თავზე აწვიმდა, გვერდში უქროდა
გაშეშებულიც
და უმეტყველოს
თითქო სულყველას კრიჭა შეჭკროდა.

მუქარა და „გულკეთილობა“.

მხოლოდ საღამოს,
დაბინდებისას
„სამმართველოის“ გაიღო კარი
და გამოვიდა
მუნით როსტომი
შეწითლებული, „ნაბახუსარი“.
იმის სიდინჯეს
მედიდურებას
ნამდვილ გმირული ესვა ბეჭედი...
ხალხმა შეხედა
და მეყვსეულად
წამოიხარა მორჩილად ქედი.
—ეი, თქვენ ურჩნო
და უმადურნო!
როდის მოიკრებთ ნეტავ გონებას?
როდის მოიშლით
მთავრობისა წილ
ხრიკთა ამგვართა გამოიგონებს?
ჩემს მოტყუებას
ნურვინ იფიქრებს,
შორს ხედავს ჩემი მრისხანე თვალი,
მე ჩინებულათ
მეემის რო თქვენში
ჯერ არ გამქრალა ერთობის კვალი.
მე კმრგათ ვხედავ,
იმედის სხივი
კვალად აშუქებს თქვენს ბოროტ გულებს
და ემტერებით
როგორც მთავრობას
აგრეთვე სტრაჟებს და ბოქაულებს.
ვაცხადებ თქვენდა
საკეთილდღეოთ,
რომ შემდეგისთვის არ გამეორდეს:
ან თხა ან ცხვარი
ან სხვა რქოსანი
პატრონის ეზოს არ გადაშორდეს.
თორემ, თუ ღამით
მხლებელნი ჩემნი
მათ მოასწრებენ საზღვარს გარეშე
მსწრაფლ დაიჭერენ
და წაიყვანენ
ამაში კი მყავს ნასწავლ ნაგეშე.
ხოლო სოფელი,
მთელი სოფელი
ხარჯს გადაიხდის, ჯარიმის სახით
და ურჩი თხისა
ურჩი პატრონი
დასაჩუქრდება ჩემის მათრახით.
ახლა გამშორდით...
დღეს პირველია
შემთხვევა ესე და გაპატივებთ,
არ მინდა თქვენი
შევიწროება
ზამთრის სუსხია არ გაგაცივებთ

მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა.

ხალხმა დაუკრა
მორჩილათ თავი
და ადღეგრძელა დიდი „პრისთავი“.

ეშმაკი.

J 158
1911

ახლად განზრახული ინდო-ევროპის რკინის გზა

და იმისი მოსალოდნელი მგზავრები

ლია წერილები

ო. ი. ულინგისა.

1) პირველი სერია „კავკასიის ტიპები“ დაიბეჭდა მესამეჯერ.

2) მეორე, ახალი სერია მხოლოდ ახლა დაიბეჭდა და იყიდება ა. ი ბიხოვის სამხატვრო ლიტოგრაფიაში (Тифлисъ. Головинскій просп. 34). ვინც ერთად გამოიწერს, აღნიშნულ ფასებზე ბევრი დაიკლდება.

რედაქტორ-გამომცემელი გაიოზ ჯაჯვაძე.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ესტ. ს. კერესელიძისა, გოლოვინის პროსპექტი, № 42.